



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების
ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია

დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 20 დეკემბრის №854 ბრძანებით

თბილისი
2020

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგიას.


სწავლება/სწავლა, როგორც დინამიური, თანმიმდევრული პროცესი, არაერთი ურთიერთდაკავშირებული ეტაპისაგან შედგება, რომლებიც ურთიერთგანაპირობებენ, ავსებენ ერთმანეთს და ქმედებათა ერთიან ჯაჭვის სახით წარმოგვიდგებიან. მართალია, საქმე გვაქვს ციკლთან, მაგრამ იგი არ არის ერთჯერადი, არამედ წარმოადგენს რამდენიმე ეტაპიან PDCA ციკლის უწყვეტ აქტივობათა კომპლექსს, რომელიც გულისხმობს საშედეგო ორიენტირების განსაზღვრას, პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, მასზე დაკვირვებას, მონიტორინგის შედეგების გაანალიზებასა და ამის საფუძველზე სათანადო ცვლილებების შეტანას, საჭიროების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა და ქმედებათა განხორციელება რეალიზდება, უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის სწავლის შედეგების ფორმირება, შეფასება და სრულყოფა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და უსდ-ს პოტენციალის რეალიზებას გარემოსთან მიმართებით. სწორედ სწავლის შედეგების შეფასება იძლევა შესაძლებლობას:

- დადგინდეს სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგები;
- დაიგეგმოს ღონისძიებები პროგრამის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის;
- დაკმაყოფილდეს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები;
- აღიწეროს, თუ რამდენად აღწევნენ სტუდენტები სწავლის შედეგებს;
- გამოიკვეთოს, თუ რამდენად უნიკალურია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა;
- შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მივიღოთ სწორი და მიზანმიმართული გადაწყვეტილებები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ხუთ ეტაპს:



1. **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება** - დაგეგმვის (Plan) ეტაპი. ამ დროს, არსებული საუკეთესო გამოცდილების, ბაზრის მოთხოვნების, სხვა უსდ-ების მიდგომების გაზიარებითა და გათვალისწინებით, ხდება სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
2. **პროგრამის განხორციელება** - კეთების (Do) ეტაპი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა აქტივობის სრულყოფილად განხორციელებას, წინასწარ დაგეგმილი და შეთანხმებული ფორმით, რომელიც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ეტაპზე ხდება დარგში მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვება და მათი შესწავლა, პროგრამის მიმდინარეობის შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, აკადემიური პერსონალის წარმატების შესწავლა) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და ა.შ.;
3. **კურიკულუმის მონიტორინგი და სწავლის შედეგების ანალიზი** - შემოწმების (Check) ეტაპი, რომლის დროსაც განისაზღვრება, თუ რამდენად სრულად უზრუნველყოფს და უქმნის შესაძლებლობებს საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს (საშუალო დონის სტუდენტზე გათვლით), რათა მათ მიაღწიონ სწავლის შედეგებს. დაკვირვება მიმდინარეობს პროგრამის განხორციელების პროცესში, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა მონაცემების მოკრება, მათი გაანალიზება, რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის სრულყოფის მიზნით და მათი განხილვა;
4. **პროგრამის გაუმჯობესებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა** - შესაბამისობაში მოყვანის, მისადაგების (Adjust) ეტაპი, როდესაც შემუშავებული და შეთანხმებული რეკომენდაციების საფუძველზე, ხდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს მხედველობაში მიიღება პროგრამის მიზნები, რომელიც, თავის მხრივ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. შედეგად, მყარდება მჭიდრო კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის მიზნებსა და უნივერსიტეტის მისიას შორის, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა გვიჩვენებს პროგრამის მიზნებისა და უნივერსიტეტის მისიის რეალიზების ხარისხს.

უნივერსიტეტის მისია

პროგრამის მიზნები

პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი წარმოადგენს განაცხადს სწავლების განზრახვის შესახებ, რომელშიც აღიწერება მოცემული პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგები. იგი წარმოგვიდგენს, სტუდენტებმა თუ რა ცოდნა უნდა მიიღონ, გამოიმუშაონ უნარები და ჩამოიყალიბონ ღირებულებები თუ დამოკიდებულებები, რის გაკეთებას შეძლებენ პროგრამის კურსდამთავრებულები (მ.შ. რა წვლილს შეიტანენ კონკრეტული დარგის განვითარებაში, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს რა იცის, რა უნარი და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს, მას შემდეგ, რაც პროგრამას დაასრულებს. სწავლის შედეგები აღიწერება სამი კომპეტენციით:

- ცოდნა და გაცნობიერება
- უნარი
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მზადდება **პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა**, ცხრილის სახით, რომელსაც შემდეგი სახე შეიძლება ჰქონდეს:

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6
პროგრამის მიზანი 1	√	√				
პროგრამის მიზანი 2		√	√	√		
პროგრამის მიზანი 3			√		√	√
პროგრამის მიზანი 4		√	√	√		

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

- პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (იხ. [სწავლის სფეროების კლასიფიკატორი](#));
- პროგრამის სწავლის შედეგების სირთულე უნდა განსხვავდებოდეს პროგრამის საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მიხედვით და უნდა პასუხობდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში მოცემულ კვალიფიკაციის დონის აღმწერებს (იხ. [ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო](#));
- არ შეიძლება ზემოაღნიშნული აღმწერების პირდაპირ გადმოტანა პროგრამის სწავლის შედეგებში, რადგან ჩარჩოში მხოლოდ ზოგადი ფრაზებითაა აღწერილი, თუ რა დონით უნდა ავითარებდეს სწავლის შედეგებს სამი კატეგორიის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიხედვით საბაკალავრო, სამაგისტრო, თუ სადოქტორო პროგრამა და უნდა მოხდეს ჩარჩოში მოცემული სწავლების საფეხურის აღმწერის მისადაგება კონკრეტული დარგისა და პროგრამისთვის;
- რეგულირებადი პროფესიის (მედიცინა, ვეტერინარია, სამართალი, მასწავლებლის განათლების, საზღვაოსნო მეცნიერებები) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტულად მათთვის შექმნილი დარგობრივი მახასიათებლით (იხ. [დარგობრივი მახასიათებლები](#)). სასურველი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების გამოყენება საორიენტაციოდ და გამოცდილების გაზიარებისათვის;
- გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტი ამზადებს კადრს როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ კონტექსტში, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ძირითად ტენდენციებს;
- პროგრამის სწავლის შედეგებში მიეთითება მხოლოდ ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სტუდენტები იღებენ ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, რადგან პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი უნდა იყოს პროგრამის ყველა სტუდენტისათვის;

- სწავლის შედეგები იმგვარად უნდა გაიწეროს, რომ რაიმე სახის შეფასებით/დავალებით უნდა შეგვეძლოს დადგენა იმისა, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა კონკრეტულ სწავლის შედეგს. ე.ი. შესაძლებელი უნდა იყოს სწავლის შედეგებზე დაკვირვება და მათი შეფასება;
- სწავლის შედეგი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი დიდი აბზაცის სახით, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სწავლის შედეგს. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, მარტივ და გასაგებ ენაზე. სასურველია, რომ ერთი სწავლის შედეგი ერთი წინადადებით იყოს დაწერილი და მასში ერთი ან მაქსიმუმ ორი ზმნა იყოს გამოყენებული;
- სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი მოცემული პროგრამის ფარგლებში, რასაც უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის შინაარსი. პროგრამის სწავლის შედეგები გადმოსცემს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც საბოლოოდ, პროგრამის დასასრულს, უნდა ჰქონდეს სტუდენტს. ამიტომ, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ იმ საკვანძო საკითხებზე, რომლებიც მოცემული დარგისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთან, სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ცოდნისა და უნარების ის ზედა დონე, რაზეც, საბოლოოდ, უნდა გავიდეს სტუდენტი;
- პროგრამის სწავლის შედეგებში არ უნდა შედიოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და პროგრამის სწავლის შედეგები არ არის პროგრამის სასწავლო კურსებისა ან სხვა კომპონენტების სწავლის შედეგების მექანიკური ჯამი. პროგრამის სწავლის შედეგები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ცალკეული სასწავლო კურსის, ან მათი ერთობლიობის სწავლის შედეგი, რადგან აქ უნდა ჩანდეს სტუდენტის მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტისგან მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი და საბოლოოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება;
- საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების შეფესება. მხოლოდ ცალკეული სასწავლო კურსისა და პროგრამის სხვა კომპონენტების შეფასებით ვერ დავადგენთ მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს;
- სასურველია პროგრამას ჰქონდეს არაუმეტეს 10 სწავლის შედეგი;
- სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს აწმყო დროში და მათი ფორმირების დროს, აუცილებლად, გამოყენებულ უნდა იქნას მოქმედებითი გვარის ზმნები, რათა შემდეგ შევძლოთ ამ სწავლის შედეგის შეფასება;
- სწავლის შედეგის დაწერის შემდეგი პრინციპი შეიძლება იქნას გამოყენებული:

პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ + მოქმედებითი გვარის ზმნ(ები)ა + ობიექტი და ფრაზა (რა ეცოდინებათ სტუდენტებს/უნარები/ემოციური ცვილელება)

მაგ: პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ გააანალიზონ სტატისტიკური მონაცემები ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

ასევე, შესაძლებელია სწავლის შედეგები შემდგენაირად ჩამოყალიბდეს:
პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტები + მოქმედებითი გვარის ზმნ(ები)ა + (რა ეცოდინებათ სტუდენტებს/უნარები/ემოციური ცვილელება).

მაგ: პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტები აანალიზებენ სტატისტიკურ მონაცემებს ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების დროს, როგორც შეფასებადი ზმნების შერჩევის, ასევე სწავლის შედეგის სირთულის დონის განსაზღვრისათვის, გამოიყენოთ ბლუმის განახლებული ტაქსონომია;
- გასათვალისწინებელია, რომ საკმაოდ რთულია შეფასდეს, თუ რა იციან და რა ესმით სტუდენტებს. ზმნები

„ცოდნა“ და „გაგება“ შეიძლება ძალიან ბევრ რამეს გულისხმობდეს, ორაზროვანი და ბუნდოვანია. შესაბამისად, მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. თუმცა, შესაძლებელია შევავსოთ ის, თუ როგორ ახდენენ სტუდენტები ცოდნისა და გაგების დემონსტრირებას.

მაგალითად:

- ✓ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია საზღვაო ბიოლოგიაში მიმდინარე საკითხის გაგების დემონსტრირება. **(ცუდი მაგალითი)**
- ✓ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია საზღვაო ბიოლოგიაში მიმდინარე საკითხის გაანალიზება **(უკეთესი მაგალითი)**
- ✓ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია გაანალიზოს ეკოსისტემის მიმდინარე საკითხი მეცნიერული ძიების პრინციპების გამოყენებით **(კარგი მაგალითი)**

შესაბამისად, „სტუდენტებმა იციან“, „სტუდენტებს ესმით“, „სტუდენტები იაზრებენ“, „სტუდენტები აფასებენ“ ფრაზების ნაცვლად უნდა დავფიქრდეთ თუ რის გაკეთებას შეძლებენ სტუდენტები ამ ცოდნითა და გაგებით, როგორ მოახდენენ ამ ცოდნისა და გაგების დემონსტრირებას.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაბამისი დარგის დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვ.) ჩართულობა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და დახვეწის პროცესში, ძალიან კარგი შედეგების მომტანია. ამ შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო ცხადად და სრულყოფილად შეიძლება იყოს ასახული, ერთი მხრივ, დარგის სპეციფიკა და, მეორე მხრივ, ზოგადად, შრომის ბაზრის მოთხოვნები თუ ძირითადი ტენდენციები.

პროგრამის განხორციელება

სწავლება/სწავლის პროცესი, რომლის წიაღში რეალიზდება საგანმანათლებლო პროგრამა, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის შედეგების მიღწევისათვის პირობების შექმნის, ისე მასზე დაკვირვების, ხარვეზებისა თუ მიღწევების გამოკვეთის კუთხით. აღნიშნული, თავის მხრივ, ყველა პირობას ქმნის სათანადო ანალიზების ჩატარებისა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვისათვის. ამ ეტაპზე, ყურადღება უნდა გამახვილდეს, როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ საკითხებზე, როგორებიცაა პროგრამის განხორციელების რესურსული უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, საგამოცდო სესიების ორგანიზება და ა.შ.

ზოგადად, პროგრამის განხორციელების სირთულის ხარისხის გათვლა ხდება საშუალო მოსწრების სტუდენტზე. შესაბამისად, ძლიერი სტუდენტი უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს იგივე დროში, ან იგივე შედეგის მიღწევას უფრო ნაკლებ დროს მოანდომებს და პირიქით.

კურიკულუმის მონიტორინგი

კურიკულუმის მონიტორინგის ეტაპი მნიშვნელოვანია, რათა დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ფორმირებული სწავლის შედეგების მიღწევას. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა:

1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის დროს - ჯერ იწერება მისი სწავლის შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვრება პროგრამის შინაარსი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
2. არსებული პროგრამის სწავლის შედეგების განახლებისას - ხდება არსებული პროგრამის შინაარსის გაანალიზება და იმის დადგენა, თუ რამდენად უქმნის იგი სტუდენტებს საშუალებას, პირობებს სწავლის შედეგების მისაღწევად.

კურიკულუმის მონიტორინგის განსახორციელებლად იქმნება **კურიკულუმის რუკა**, რომლის ერთ მხარეს, წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო მეორე მხარეს კი - საგანმანათლებლო პროგრამის მიერ შეთავაზებული სავალდებულო სასწავლო კურსები, აქტივობები, კვლევითი კომპონენტები.

კურიკულუმის რუკაზე უნდა მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკის ასახვაც იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია არჩევითი საგნების ბლოკი, რომელიც რამდენიმე არჩევითი საგნისგან შედგება და იმის მიუხედავად, თუ რომელ არჩევით საგან(ებ)ს აირჩევს სტუდენტი, მაინც რომელიმე ერთ ან მეტ სწავლის შედეგ(ებ)ზე გავა. ამის შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის განვითარებას უზრუნველყოფს, სამი პროგრესული დონით:

1. გაცნობა (I);
2. გაღრმავება (P);
3. განმტკიცება (M).

კურიკულუმის რუკას შემდეგი სახე შეიძლება ჰქონდეს:

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6
პროგრამის კომპონენტი						
პროგრამის კომპონენტი 1		I	I			E
პროგრამის კომპონენტი 2			I			E
პროგრამის კომპონენტი 3	I				E	
პროგრამის კომპონენტი 4				R		R
პროგრამის კომპონენტი 5	I	I		R/E	R	
პროგრამის კომპონენტი 6		I	I/R			

მნიშვნელოვანია რომ ყველა სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე და ეს შესაბამისობა უნდა ჩანდეს კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კურიკულუმის მონიტორინგი, ასევე, გულისხმობს ანალიზს იმისა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამისათვის, კურიკულუმის რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და რამდენ პროგრამის სწავლის შედეგს ავითარებს კონკრეტული სასწავლო კურსი.

ასევე, უნდა დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია სასწავლო კურსების მოცემული რაოდენობა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე შეკითხვაზე, კერძოდ:

- ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს?
- არის თუ არა საკმარისი საგანთა ოდენობა კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად?

- ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს?
- ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს?

აუცილებელია, რომ პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტი გადიოდეს ერთ სწავლის შედეგზე მაინც!

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს. ასევე, შესაძლებელია, რომ ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობასა და გაღრმავებას (I/R) ან გაღრმავებასა და განმტკიცებას (R/E).

მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად, ჩართული იყოს თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელიც. ასევე, თითოეული სასწავლო კურსის წამკითხველმა უნდა იცოდეს, თუ რა როლი აქვს მის საგანს მთლიან პროგრამაში.

ძალიან დადებითი მომენტიცაა, როდესაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ერთად განიხილავს პროგრამის სწავლის შედეგებს და კურიკულუმის რუკას, ხდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გაანალიზებაც, მაგალითად:

- რა სწავლის შედეგებზე გვინდა რომ გავიდნენ სტუდენტები პროგრამის დასასრულს?
- რომელ სასწავლო კურსში რა ისწავლება და რა დონეზე?
- ხომ არ არის გადაფარვები სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ან ხომ არაა პროგრამიდან გამორჩენილი ისეთი საკითხები, რომელთა სწავლებაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად?
- რა თანმიმდევრობით ისწავლება ესა თუ ის სასწავლო კურსი, საკითხი პროგრამაში და სხვ.

სწავლის შედეგების მიღწევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდის/აქტივობის ზეგავლენა შეიძლება იყოს „მაღალი“ (H), „საშუალო“ (M) ან „დაბალი“ (L).

აღნიშნულის საანალიზოდ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი ცხრილი, სადაც ზეგავლენასთან ერთად, თითოეულ უჯრაში, შეიძლება მიეთითოს კონკრეტული აქტივობებიც:

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5
სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები					
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 1	H (სიტუაციის ანალიზი, პრაქტიკული დავალება)				M (სიტუაციის ანალიზი)
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 2		L (ღია ტიპის ტესტი)		M (პრაქტიკული დავალება)	
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 3		M (პრაქტიკული დავალება)			M
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 4			H (სიტუაციის ანალიზი)		L (დახურული ტესტი)
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 5			H (ღია ტესტი, სიტუაციის		

			ანალიზი)		
სწავლება-სწავლის მეთოდი/აქტივობა 6				L (დახურული ტესტი)	

მნიშვნელოვანია, რომ ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სათანადო მოცულობით განხორციელდეს იმ მეთოდებისა თუ აქტივობების გამოყენება, რომელთა გამოყენებით „მაღალი“ ხარისხით მიიღწევა სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგების ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფა, ზოგადად, და მ.შ., საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, არის მუდმივი, დინამიური პროცესი, რომლის დროს დგინდება, თუ რამდენად შეძლეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და როგორ, რა კუთხით არის შესაძლებელი პროგრამის გაუმჯობესება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პროგრამის დასასრულს. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, რომ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში და/ან აქტივობებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში/აქტივობაში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. კარგ პრაქტიკად ითვლება, როდესაც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას, პროგრამის სწავლის შედეგები, უპირატესად, სამაგისტრო და/ან სადისერტაციო ნაშრომებში ფასდება.

საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, მიზანშეწონილი შეიძლება იყოს ე.წ. „შემაჯამებელი სასწავლო კურსის“ გამოყენება. ეს მაშინ ხდება, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ჭირს მის მიმართ წაყენებული აკადემიური მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამ დროს, შეიძლება შეფასდეს სტუდენტთა ის ნაწილი (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.), რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ განხორციელებული შეფასება ჩაითვალოს ვალიდურად, სანდოდ და გამჭვირვალედ.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც **პირდაპირი**, ასევე **არაპირდაპირი** მეთოდების გამოყენებით.

- შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აღნიშნული ეყრდნობა სტუდენტის მიღწევების შეფასებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ამ მეთოდის მეშვეობით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით. ძირითადად, სწორედ პირდაპირი მტკიცებულებები გამოიყენება სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დასადასტურებლად. ეს შეიძლება იყოს:

- ✓ გამოცდების შედეგები - ზომავს უნარს, რომელიც ერთზე მეტ შედეგთან არის დაკავშირებული. ამიტომ, შემაჯამებელი ქულა, შეიძლება, არ ასახავდეს გარკვეული შედეგის მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში უნდა მოხდეს

გამოცდების შედეგების დაყოფა შემადგენელ ნაწილებად (შუალედური გამოცდა, აქტივობა, დასკვნითი გამოცდა), რაც საშუალებას იძლევა შეფასების კომპონენტები სწორად მივუსადაგოთ სწავლის შესაბამის შედეგ(ებ)ს, მოვახდინოთ შესაბამისი სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტების დაჯგუფება და მოვახდინოთ შეფასების კრიტერიუმის ფორმირება;

- ✓ პორტფოლიო - უშუალოდ განკუთვნილია კონკრეტული შედეგის მისაღწევად და მათი შეფასების გამოყენება საკმაოდ მარტივადაა შესაძლებელი შეფასების პროცესში;
- ✓ შემაჯამებელი სასწავლო კურსი (capstone course) - ახდენს სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნისა და უნარების შეჯამებას. შეფასების კომპონენტები უშუალოდ განკუთვნილია პრაქტიკული უნარების და შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასებისათვის;
- ✓ პრაქტიკის შეფასება - გამოიყენება პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის;

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ასევე გამოიყენება სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, პრაქტიკული კლინიკური შეფასება, სასერთიფიკატო გამოცდა, გამოქვეყნება, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, სავლე გამოცდილების ზედამხედველის მიერ შეფასება, დახურული (MCQs) და ღია ტიპის შეკითხვები, პრაქტიკული და თეორიული ტიპის შეკითხვები, ლაბორატორიული დავალებები, პრეზენტაციები და პროექტებს, ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდები (OSCE) და სხვ.

- შეფასების არაპირდაპირი მეთოდი - ეს არის ის შეფასება და მტკიცებულება, რომლითაც შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესახებ, თუმცა არ გქონდეთ ამისი პირდაპირი მტკიცებულება. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია:

- ✓ დასაქმების მაჩვენებელი - რომელიც დგინდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვებით;
- ✓ გამოკითხვები და კითხვარები - რომელთა ძირითადი რესპოდენტები არიან დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და ა.შ.;

არაპირდაპირი მტკიცებულების ფორმად შეიძლება, ასევე, მოვიაზროთ სტუდენტის თვითშეფასება; დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება; ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიები, ინტერვიუები; სასწავლო კურსებში მიღებული ქულები; პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და ა.შ.

პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებებისათვის შედგენილი უნდა იყოს შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ აგვერიოს სტუდენტის მიერ კურსის შეფასებას ან კმაყოფილების კვლევის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს.

იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც. არსებობს შეფასების მეთოდები, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდად, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება აღნიშნული მეთოდის შეფასება.

მაგალითად, სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული სტატია შეიძლება იყოს შეფასების როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი მეთოდი. იმ შემთხვევაში თუ უბრალოდ აღვნიშნავთ გამოქვეყნებას, მაშინ ეს იქნება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულება. მაგრამ თუ მოხდება ამ სტატიის შეფასება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის ერთ ან რამდენიმე შედეგთან - მაშინ ეს იქნება პირდაპირი შეფასება. იგივე შეიძლება ითქვას სასერთიფიკატო გამოცდებზე.

შეფასების პროცესში, გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია, რომ მასში მონაწილეობდეს ყველა სავალდებულო კომპონენტი და მათზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მიღებული შედეგი განაწილება ე.წ. „გაუსის მრუდზე“, რომელიც გვიჩვენებს სტუდენტთა მიერ მიღებული შედეგების განაწილებას შეფასებების მიხედვით და დგინდება თითოეული შეფასების ხვედრითი წილები. დაკვირვება უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, რაც დაკვირვების საშუალებას იძლევა, როგორც მიმდინარე მდგომარეობაზე, ისე დინამიკაზე. ამ უკანასკნელის საფუძველზე, გამოიკვეთება რამდენად მუდმივია და რა მასშტაბისაა პრობლემა კონკრეტულ სასწავლო კომპონენტში (არსებობის შემთხვევაში) და განისაზღვროს რეაგირების საჭიროება და მასშტაბი.

პირდაპირი შეფასების პროცესში ჩართული უნდა იყოს, როგორც სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური (მ.შ. მოწვეული) პერსონალი, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარების დეპარტამენტი.

არაპირდაპირი შეფასების პროცესში ერთვებიან კურსდამთავრებულები (თვითშეფასებით), დამსაქმებლები (კურსდამთავრებულთა შეფასებით), პრაქტიკის ობიექტები (სტუდენტების შეფასებით), რაც პროგრამის არაპირდაპირი გზით შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების მეთოდის შერჩევასა უნდა ვინეხმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით:

- შეფასება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სწავლის შედეგთან;
- კარგ პრაქტიკად მიიჩნევა შეფასების რუბრიკის გამოყენება;

მაგალითად, თუ ერთ წერით დავალებაში გვინდა პროგრამის სამი სწავლის შედეგების შეფასება, შეგვიძლია მოვამზადოთ შესაბამისი რუბრიკა. ამისათვის, თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა განვსაზღვროთ კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად (თუმცა, შესაძლებელია, რომ არ დაგვჭირდეს კრიტერიუმების გაწერა და პირდაპირ სწავლის შედეგი შევაფასოთ). თითოეული სწავლის შედეგი შეიძლება 2-დან 8 კრიტერიუმს მოიცავდეს.

სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის კრიტერიუმების ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა განვსაზღვროთ შეფასების მაქსიმალური და მინიმალური ქულა, თითოეული კრიტერიუმისთვის (ვთქვათ, 1-დან 3-მდე, 1-დან 5-მდე). სასურველია განისაზღვროს ქულების მახასიათებლებიც (მოკლე აღწერა იმისა, თუ რა შემთხვევაში რა ქულა იწერება) (იხ. დანართი 2).

- ახლადშექმნილი რუბრიკის გამოყენებამდე, სასურველია მისი პილოტირება, ანუ - რამდენიმე ლექტორის მიერ ერთიდაიმავე ნაშრომის ერთიდაიგივე რუბრიკით შეფასება და მიღებული შედეგების დადარება. თუ მიღებული შედეგები ძალიან განსხვავებულია, რუბრიკა დასახვეწია.
- სასურველია შეფასების იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც უკვე არსებობს სასწავლო კურსში;
- თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა გვქონდეს გაწერილი შეფასება;
- სასწავლო კურსში/გამოცდაში/პროექტში მიღებული ქულა არ არის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი. სასწავლო კურსის ქულა ასახავს, თუ როგორ დააკმაყოფილა სტუდენტმა სასწავლო კურსის მოთხოვნები და არა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის დონეს. როგორც წესი, სასწავლო

მაგალითად, მართალია, სასწავლო კურსის წარმატებით დასრულება არ გამოდგება პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებად, მაგრამ სასწავლო კურსების, გამოცდებისა და დავალებების კომპონენტების ქულები რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პროგრამის სწავლის მხოლოდ კონკრეტულ ერთ შედეგს, შეიძლება ჩაითვალოს შედეგის მიღწევის დონის ადეკვატურ მტკიცებულებად.

კურსის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით, სასწავლო კურსის მოიცავს რამდენიმე სწავლის შედეგს, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის ერთ ან მეტ შედეგთან. ამასთან, სასწავლო კურსის ქულა ხშირად მოიცავს დასწრების, აქტიურობის, ან სხვა აქტივობების შეფასებას, რომლებიც არ არის პირდაპირ კავშირში პროგრამის სწავლის შედეგთან.

პროგრამის სწავლის თითოეული შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს ჩვენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს. ყველა სტუდენტი ვერ გავა სწავლის შედეგზე უმაღლესი ქულით. ამიტომ პროგრამის განმახორციელებლებმა უნდა განსაზღვრონ ის ზღვარი, რომლითაც ისინი კმაყოფილები იქნებიან და ჩათვლიან რომ პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ის ცოდნა და უნარები, რაც განსაზღვრულია სწავლის შედეგით.

იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები.

მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15-დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის სწავლის პირველ შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ სწავლის ამ შედეგს ვაფასებთ ესეს მუშევრებით, რომლის მაქსიმალური შეფასებაცაა 20 ქულა), ან სტუდენტების 80% ან მეტი მიიღებს B შეფასებას ან უფრო მაღალს - გამოცდაში. ან სტუდენტების 75% ან მეტი შეფასებული იქნება 3-ით რუბრიკაში (სკალა 1-5), რომლითაც ფასდება კვლევითი ნაშრომი.

სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასებამდე. სამიზნე ნიშნული არ უნდა იყოს არაგონივრულად მაღალი ან პირიქით, დაბალი. სტუდენტების წინარე შედეგები შეიძლება დაგეხმაროთ რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრაში.

წარმოგიდგინთ მარტივი სქემას ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად შესაძლო გამოყენების მიზნით, რომელშიც კონკრეტული მაგალითია განხილული:

სწავლის შედეგი	შეფასების რუბრიკა	შეფასების პერიოდი	სამიზნე ნიშნული
მაგალითი 1: ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის საფუძველზე, მოიძვეს და ასაბუთებს პროექტირების და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ამოცანების გადაჭრის გზებს	შესაბამისი კონცენტრაციის კურსების ჯამური ქულების საშუალო. მაქსიმალური შესაძლო შეფასება 100 ქულა.	შესაბამისი კონცენტრაციის ყველა კურსის გავლის შემდეგ	სტუდენტთა 60%-ის შეფასება არ უნდა იყოს 61 ქულაზე ნაკლები
მაგალითი 2: აღწერს ცოცხალი ორგანიზმების აგებულებას უჯრედის, ქსოვილის, ორგანოსა და ორგანოთა სისტემების დონეზე	სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდებისა და აქტივობის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.	სწავლის შედეგი შეფასდება მე-6 სემესტრში სასწავლო კურსით „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია“	სტუდენტების 60%-ის შეფასება არ უნდა იყოს 71 ქულაზე ნაკლები
პროგრამის სწავლის შედეგი 3			
პროგრამის სწავლის შედეგი 4			
პროგრამის სწავლის შედეგი 5			
პროგრამის სწავლის შედეგი ...			

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.

ამისათვის, მაგალითად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, შემდეგი სქემა:

შეფასების ღონეები	სრულიად არ აკმაყოფილებს	არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	სრულიად აკმაყოფილებს
შეფასების ინდიკატორები					
შეფასების ინდიკატორი 1	√				
შეფასების ინდიკატორი 2			√		
შეფასების ინდიკატორი 3		√			
შეფასების ინდიკატორი 4					√
შეფასების ინდიკატორი 5				√	

პროგრამით დადგენილი თითოეული სწავლის შედეგისათვის შეფასების ინდიკატორებისა და თვით ინდიკატორების შეფასების რუბრიკის განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასებისა და მთლიანად პროგრამის განვითარებისათვის.

როდესაც ახალი საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება, მას უნდა ქონდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ბუნებრივია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ვერ ექნება ახალ პროგრამას და პროგრამის დაწყების შემდეგ რამდენიმე წელნადაღი იქნება შესაძლებელი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა იცოდეს პროგრამის სწავლის შედეგები და იცნობდეს მათი შეფასების გეგმას პროგრამის შექმნის პირველივე დღიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განხორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა იცოდეს თუ რომელი სასწავლო კურსებითა და/ან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა რომელი აქტივობებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

ანალიზის შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთავარი მიზანი არის შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის და არა მხოლოდ კონკრეტული სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად ან კონკრეტული სტუდენტის შესაფასებლად. შესაბამისად, როდესაც გვექნება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები, ანალიზდება ეს მონაცემები და დადარება სამიზნე ნიშნულებთან. ამ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მსჯელობს:

- თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ ღონით, როგორც ისინი ვარაუდობდნენ;
- ხომ არ არის პროგრამის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ სტუდენტის შეფასებისგან განსხვავებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დანიშნულება პროგრამის შეფასება და მისი მუდმივი გაუმჯობესებაა.

არაპირდაპირი მითოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში დამდგარი შედეგებიდან საყურადღებოა ისეთი ფაქტები თუ, ვთქვათ:

- დამსაქმებელთა 25%-ზე მეტი თვლის, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (პრაქტიკის შემთხვევაში - სტუდენტი) არ ან ცუდად ფლობს სფეროსათვის მნიშვნელოვან ცოდნასა და უნარებს;
- კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ვთქვათ, 30%) თვლის, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღო სფეროსათვის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები;
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტთა დიდი ნაწილი (ვთქვათ, 35%) თვლის, რომ პრაქტიკის ობიექტზე აღმოაჩინა, რომ ვერ გამოავლინა და იქ ჩამოიყალიბა ბევრი ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რომელთა შექმნა უნდა მომხდარიყო უსდ-ში;

ზემოაღნიშნულ გამოვლენილ ფაქტებზე შეიძლება მოხდეს შემდეგი სახის რეაგირებები:

1. **პრობლემის წარმოშობის მიზეზების კვლევა და დადგენა.** ეს შეიძლება განხორციელდეს თვისებრივი კვლევით ფოკუს ჯგუფებთან, ინტერვიურებით, კონკრეტული სასწავლო კურსის პროფესორთან და/ან სტუდენტებთან გასაუბრებით, სილაბუსის რევიზირებით, პროგრამის ფარგლებში შექმნილი ნაშრომების მონიტორინგით და სხვ;
2. **დაფიქსირებული პრობლემ(ებ)ის დაძლევის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.** შეფასების შედეგების გაანალიზების შემდეგ, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ საჭიროა:
 - ცვლილებების განხორციელება სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში;
 - სასწავლო კურსების თანმიმდევრობის შეცვლა;
 - სწავლება-სწავლის მეთოდ(ებ)ის შეცვლა;
 - სასწავლო კურსებს შორის კრედიტებისა და საათების განაწილების შეცვლა;
 - სასწავლო კურს(ებ)ის დამატება, ან პირიქით;
 - ცვლილებების შეტანა სტუდენტთა კონსულტაციებსა და სხვადასხვა სერვისებში;
 - პროგრამის სწავლის შედეგების და/ან მათი შეფასების მექანიზმის გადახედვა;
 - სასწავლო ლიტერატურის გაახლება და სხვ.

ყოველივე ზემოთ აღწერილის განხორციელების შემდეგ იწერება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, სადაც აისახება მიღებული შედეგები, მათი ანალიზი და ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დანართი 1: ბლუმის განახლებული ტაქსონომია

ბლუმის განახლებული ტაქსონომიის მიხედვით, შემეცნება დაყოფილია ექვს პროგრესულ დონედ. ესენია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება, შექმნა. თითოეულ დონის აღწერა და შესაბამისი ზმნები მოცემულია ქვემოთ. იქიდან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია სწავლის შედეგის სირთულის განსაზღვრა და შემდეგ ამ სირთულის შესაბამისი და ამასთან შეფასებადი ზმნის გამოყენება, სწავლის შედეგის ფორმულირებისას, ბლუმის განახლებული ტაქსონომიის გამოყენება ამარტივებს ამ პროცესს. იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი გვაძლევს ცოდნის სირთულის სტრუქტურასა და შესაბამის ზმნებს, ის ფართოდ გამოიყენება ბევრ ქვეყანასა და უნივერსიტეტში.



1. **ცოდნა** - ფაქტებისა და ძირითადი კონცეფციების ამოცნობა და გახსენება.

საკვანძო ზმნები: განსაზღვრა, ჩამოთვლა, ამორჩევა, მოძიება, დასახელება, გახსენება, დაკავშირება, ჩვენება, გამოსახვა, ამორჩევა, თქმა, მონიშვნა, პოვნა, იდენტიფიცირება, ცნობა, დასახელება, და სხვა.

2. **გაგება** - იდეებისა და კონცეფციების ახსნა. ამა თუ იმ თეორიის, საკითხის, მოვლენის ახსნა, შეჯამება, კლასიფიცირება. ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვანაირად გამოთქმა და/ან მაგალითის მოყვანა. ნასწავლი ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტაცია.

საკვანძო ზმნები: აღწერა, განხილვა, კლასიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, კონტრასტი, ახსნა, ილუსტრირება, ამორჩევა, თარგმნა, ინტერპრეტირება, მიმოხილვა, გამოკვეთა, დაკავშირება, პერიფრაზირება, შეჯამება, განმარტება, შეცვლა, მითითება და სხვა.

3. **გამოყენება** - ინფორმაციის/ნასწავლი მასალის გამოყენება ახალ სიტუაციაში. იდეებისა და კონცეფციების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

საკვანძო ზმნები: გამოყენება, დანერგვა, ექსპერიმენტირება, მოდელირება, ორგანიზება, ამორჩევა, დემონსტრირება, გადაჭრა, გაანგარიშება, შეცვლა, გამოთვლა, ილუსტრირება, მოდიფიცირება, ოპერირება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, წარმოება და სხვა.

4. **ანალიზი** - იდეებს შორის კავშირის დანახვა. განსხვავებული ცნებების მახასიათებლების, პროცესებისა ან მოვლენების შედარება აზრის გამოთქმისა და მსჯელობის გარეშე. ინფორმაციის

შემადგენელ კომპონენტებად დაშლა მათ შორის ურთიერთკავშირისა და სტრუქტურის გაგების მიზნით.

საკვანძო ზმნები: განსხვავება, ორგანიზება, კონტრასტი, შედარება, ანალიზი, კლასიფიცირება, აღმოჩენა, გამოყოფა, გამოპირობება, გაყოფა, შემოწმება, ინსპექტირება, შემოწმება, გამარტივება, რანჟირება, კლასიფიცირება, დანაწილება, შეპირისპირება, დიფერენცირება, გამორჩევა, დაყოფა, დაკავშირება, განცალკევება, კატეგორიზაცია და სხვა.

5. **შეფასება** - გადაწყვეტილებისა და/ან პოზიციის დასაბუთება/გამართლება. ცნებების, პროცესების, იდეების სირთულეებისა და შეზღუდვების განხილვა. აზრის/მოსაზრების ჩამოყალიბება რაიმე მოვლენისა თუ იდეის გარშემო და მისი გავრიტიება ან მხარდაჭერა.

საკვანძო ზმნები: არგუმენტირებული მსჯელობა, შექება, განსაზღვრა, შეჯამება/შეჯერება, შეთანადება, გადაწყვეტა, დაცვა, უარყოფა, მხარდაჭერა, გავრიტიკება, შეფასება, აღრიცხვა, დასკვნის გაკეთება, დარწმუნება, რეკომენდაციების მომზადება, ვალიდაცია, გაზომვა, უპირატესობის მინიჭება და სხვა.

6. **შექმნა** - ახალი ან ორიგინალური ნაშრომის შექმნა. ნასწავლი ცნებებისგან განსხვავებული ახალი ცნების შექმნა, ან ნასწავლი ცნების გამოყენება რაღაც ახლის შესაქმნელად.

საკვანძო ზმნები: აგება, აწყობა, დიზაინი, განვითარება, ფორმულირება, გამოძიება, ავტორობა, ცვლილება, შედგენა, კონსტრუირება, შექმნა, გამოგონება, მაქსიმიზირება, მინიმიზირება, მოდიფიცირება, დაგეგმვა, დაწყება, ვარაუდი, გადაჭრა, ტესტირება და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს ყველაზე რთულ დონეს, რომელზეც გადის სტუდენტი პროგრამის დასასრულს. მაგალითად, როდესაც სტუდენტს შეუძლია რამის გაკეთება მესამე, გამოყენების დონეზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ცოდნისა და გაგების დონესაც ფლობს სტუდენტი. ამიტომ არ არის საჭირო სწავლის შედეგების გაწერა ყველა დონეზე. ეს თავიდან აგვარიდებს სწავლის შედეგების ზედმეტად დეტალურ გაწერას და აგრეთვე დაგვეზარება სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირებაში. როგორც წესი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისაც გამოიყენება ზნმები ტაქსონომიის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დონეებიდან.

დანართი 2: პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების რუბრიკის ნიმუში

დავალების დასახელება:					
	4 ქულა შესანიშნავი	3 ქულა კარგი	2 ქულა საშუალო	1 ქულა სუსტი	მიღებული ქულა
პროგრამის სწავლის შედეგი 1:					
კრიტერიუმი 1.1.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 1.2.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 1.3.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 1.4.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
პროგრამის სწავლის შედეგი 2:					
კრიტერიუმი 2.1.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 2.2.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 2.3.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
პროგრამის სწავლის შედეგი 3:					
კრიტერიუმი 3.1.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 3.2.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 3.3.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 3.4.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
კრიტერიუმი 3.5.	აღწერა	აღწერა	აღწერა	აღწერა	
საბოლოო ქულა					